



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 31 იანვარი, 2020 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
4. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
5. მანანა ნიწაძე-მიქელაძე- თავისუფალი არჩევანი
6. ლაზარე ჯიბლაძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი
7. პაატა ყვავაძე - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
8. მამუკა ყუფარაძე - სტუდია რე
9. ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
10. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
11. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
12. ნინო ელბაქიძე - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
13. თამარ ხუხია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
14. მერაბ ქართველიშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
15. მარიამ გოგოსაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
16. კოტე კანდელაკი - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
17. გუნა ბიბილეიშვილი - ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება

განსახილველი საკითხები:

1. ჯგუფის მუშაობის სტრატეგიის დაგეგმვა
2. სექტორული შეხვედრების საკითხი
3. პარლამენტთან განსახილველი საკითხები
4. სხვა საკითხები

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, სულხან სალაძემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას დაესწრო ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლაშა ტულუში. მან მოკლედ ისაუბრა პლატფორმის როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე იმ არსებულ რესურსებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც პლატფორმას გააჩნია და რომელიც აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული. მნიშვნელოვანია გაკეთდეს ოპერატიული განცხადებები და აქტიურად შეფასდეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრა ჯგუფის მუშაობის სამომავლო გეგმებსა და სტრატეგიაზე. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ 2020 წელი არის ქვეყანაში საარჩევნო წელი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა იქნება საარჩევნო საკითხები.

არჩევნების თემატიკასთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი საკითხი, რომელზეც მნიშვნელოვანია პირველი ჯგუფის ფარგლებში აქტიური მუშაობა, კერძოდ: 1. საარჩევნო სისტემის საკითხი, რომელზეც ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. 2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და 3. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომლექტება და მათი პროფესიონალიზაცია.

მიმდინარე წელს ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იქნება მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული თემები, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული სიტუაცია. ასევე გენერალური პროკურორის დანიშვნის საკითხი. უახლოეს მომავალში შემუშავდება განცხადება სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით.

პარლამენტში, გაზაფხულის სესიაზე იგეგმება რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივის განხილვა, შესაბამისად მნიშვნელოვანია რომ პირველი სამუშაო ჯგუფის წევრმა ორგანიზაციებმა იმუშაონ სწორედ ამ საკითხებზე.

იუსტიციის მინისტრმა დააანონსა ინიციატივა, რომ აპირებენ პარლამენტში შეიტანონ კანონპროექტი შშმ პირთა უფლებების შესახებ. სამუშაო ჯგუფის მხრიდან მნიშვნელოვანია ჩაერთოს ამ პროცესებში. გაანალიზოს და დაადგინოს თუ რამდენად შეესაბამება კანონპროექტი იმ ვალდებულებებს, რომელიც აღებული აქვს ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულებით.

ასევე მნიშვნელოვანია შრომით უფლებებთან დაკავშირებით დაწყებული და შეჩერებული რეფორმა, რომელიც ასევე გაზაფხულის სესიაზე იქნება განხილული და მნიშვნელოვანია ადვოკატების პროცესით ჩართვა ამ საკითხში.

მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითგი იქნება მედიასთან დაკავშირებული თემები. საუბარია აუდიოვიზუალური მედიამომსახურების დირექტივის ჰარმონიზაციის პროცესზე, რომელიც ამ დრომდე სამუშაო რეჟიმშია. ამ ეტაპისთვის ელოდებიან ბრიუსელის დასკვნას, რომელმაც უნდა შეაფასოს კანონპროექტის შესაბამისობა ევროპულ კანონმდებლობასთან. არსებობს რიგი საკითხები, რომელზეც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას აქვს კრიტიკული მოსაზრებები და სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ელოდებიან ევროპული მხარის დასკვნასა და შეფასებას.

მედიასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანი იქნება „ინფორმაციული თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომელის მიღების ვალდებულებაც ქვეყანამ აიღო ასოციაციის ხელშეკრულებით და ასევე ინტერნეტის თავისუფლების საკითხი. დაგეგმილია კომისიის შექმნა, რომელიც იზრუნებს ინტერნეტში ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სამუშაო ჯგუფის ჩართულობა და მონაწილეობის მიღება გაიდლაინებისა და ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში.

შეხვედრაზე ისაუბრეს პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც ევროპარლამენტში უნდა გადაიგზავნოს. მასში აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული ვითარება და ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც განაპირობებენ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობს ეროვნული კოორდინატორი, ნათია კუპრაშვილი, და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ლაშა ტულუში. აღნიშნული დოკუმენტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიაწოდა ჯგუფის წევრებს ინფორმაცია პარლამენტთან თანამშრომლობის ფორმატის შესახებ. ევროპასთან ინეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან ბოლოს გამართულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა სამმხრივი ფორმატის შეხვედრების ჩატარების საკითხი. ჯგუფის სხვედრაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე თემა. ასევე გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც სამომავლოდ განხილული იქნება, სამთავრობო სტრუქტურებთან, სექტორული ფორმატის ფარგლებში.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე